ხელშეკრულება №49

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 28 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ ხონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ლადო ჯურხაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „პაადრო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან დარსაველიძეს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") ორივე ერთად წოდებულნი, როგორც „მხარეები" „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეტუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყივების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, 2018 წლის 28 თებერვალს ხონის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ნიკოლოზ ხომასურიძის ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცი"-ს ჩვენებასთან დაკავშირებით მოწვეული სტუმრებისთვის ხილისა და მინერალური სასმელების მოწოდების უზრუნველყოფა (CPV03200000 - ბურღულეული, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი და თხილეული; CPV03222321 - ვაშლი; CPV03222111 - ბანანი; CPV03222220 - ფორთოხალი; CPV03222115 - ქიშმიში; CPV03222118 - კივი; CPV15900000 - სასმელები, თამბაქო და მონათესავე პროდუქტები; CPV15981000 - მინერალური წყლები; CPV03100000 - სოფლის მეურნეობისა და ბაღჩეული პროდუქტები; CPV03111200 - მიწის თხილი/არაქისი;) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება - 40.00 (ორმოცი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მოთხოვნის შესაბამისად.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძვლზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შესყიდვების მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.მიღება-ჩაბარება

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურეობის ადგილია ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6.

5.2 მომსახურეობა განხორციელდება 2018 წლის 28 თებერვლს.

6. მხარეთა უფლებამოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურეობა სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

7.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარ ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ხონის მუნიციპალიტეტი	შპს „პაადრო“
ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6	ქ.ხონი, ჭავჭავაძის ქ №1
საიდენტიფიკაციო კოდი: 244961225	ს/კ: 55001023290
სახელმწიფო ხაზინა	სს „თი ბი სი ბანკი“
ბანკის კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი TBCBGE22
მიმღების ანგარიში – 200122900	ა/ა №GE59TB7550436020100001
ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე	შპს „პაადრო“-ს დირექტორი ქეთევან დარსაველიძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხონი

28 თებერვალი 2018 წელი

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხონის მუნიციპალიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
კულტურის, განათლების, სპორტის,
ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა
სამსახურის ხელმძღვანელი : მანანა გოფოძე